ხელშეკრულება № 8

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლოდირებული ტენდერი NCON150000074)

11 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ სუხჩის საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზეინაბ კაჭარავას** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „დეკორი„** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დიმიტრი კვეკვესკირის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის , სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის უმაღლესი საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე „2016 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის N2585 განკარგულების საფუძველზე საბეჭდი ქაღალდის 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (N CON150000074) (შემდგომში-კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV:30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **65, 50** (სამოცდახუთი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში. შემსყიდველს საბეჭდი ქაღალდის გატანა შეუძლია შემდეგი **მისამართიდან-ქ.ქუთაისი. ორახელაშვილის N14.**

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ

ხრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. ყველა სახის შეტყობინება საქონლის მოთხოვნა (საქონლი შეკვეთა) შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური წერილის საფუძველზე მისამართზე **ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის 157** ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე **dekori@dekori.ge.**შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2016 წლის 15** აპრილის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ სუხჩის საჯარო სკოლა ს/კ 244970741 მის: ქ. ხონი, სოფ.სუხჩა ტელ:577 947168 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE05LB0121121720350000 დირექტორი ზეინაბ კაჭარავა ბ.ა	შპს „დეკორი" ს/კ 203868635 მის.: ქ.თბილისი . ა.ბელიაშვილის N 157 ტელ.:032 2240505, 599100474 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა GE66PC0133600100062479 დირექტორი დიმიტრი ... ბ.ა

დანართი №1

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი

№	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	საერთო ფასი(ლარი)
1	უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი-NAVOGATOR universal მწარმოებელი ქვეყანა - პორტუგალია; გრამაჟი 80(გრ/მ2); სისქე(UM)-110; სითეთრე(CIE)169; გაუმჭვირვალობა-95%; სიკაშკაშე-112%; ზედაპირის ხაოიანობა(ML/MIN)120; შეკვრაში ფურცლების რაოდენობა-500.	შეკვრა(500 ფურცლიანი)	10	6,55	65,50
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					65,50 (სამოცდახუთი ლარი 50 თეთრი)

სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ სუხჩის საჯარო სკოლის დირექტორი /ზ.ვაჭარავა/

შპს „დეკორი"-ის დირექტორი /დ.კვეკვესკირი/